



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მიქაელ ქართველი



მიქაელ ქართველი, სასულიერო მოღვაწე, წმინდანი. მის შესახებ შემორჩენილი ცნობები მწირია. მოღვაწეობდა IX ს-ში იერუსალიმის პატრიარქ სერგის დროს. იგი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპებში ნახსენებია როგორც ულუმბოს მონასტრის აღმშენებელი – „წმიდათა მამათა ჩუენთა მიქაელ და არსენს, რომელთა ალაშენეს ულუმბოდ“. როგორც ირკვევა, მ. ქ-მა და არსენმა ულუმბოს მთაზე ქართველთა ბერ-მონაზვნობას ჩაუყარეს საფუძველი.

საქართვე. სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ღირსი მიქაელის ხსენების დღეა 3 (16) მაისი.

ღირსნი მიქაელ და არსენ ქართველნი.

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, თბ., 2004.

თ. მარგველაშვილი
